**სკოპინგის განცხადება** - მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ყიზილაჯლოში შპს „ნიუ ჯეო როუდის“ ასფალტის საწარმოს, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარის ექსპლუატაციისა და ბიტუმის საცავების მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა.

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ასფალტის წარმოება, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება და ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა-ექსპლუატაცია;

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „ნიუ ჯეო როუდი“;

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყიზილაჯლო;

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო;

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების დრო და ადგილი:**

- **2022 წლის 17 ნოემბერს 14:00 საათი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყიზილაჯლოს ადმინისტრაციული ერთეულის შენობა;**

“გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2022 წლის 21 ნოემბრის ჩათვლით**, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6 ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ.ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსია ასევე ხელმისაწვდომია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.